



**შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების
პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის**

პირველი საორგანიზაციო შეხვედრა

20-21 ნოემბერს, ბრიტანეთის საბჭოს საერთაშორისო პროგრამა „შემოქმედებითი ნაპერწკალი“-ს ეგიდით თბილისში პირველი საორგანიზაციო შეხვედრა ჩატარდა.



როგორც ცნობილია, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით გაიმარჯვა ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“.

ამასთან დაკავშირებით, 20-21 ნოემბერს, თბილისში ჩატარდა საგრანტო კონკურსში: „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ გამარჯვებული უნივერსიტეტების წარმომადგენლების

საორგანიზაციო და სასწავლო ხასიათის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ პროგრამაში გამარჯვებული უნივერსიტეტების წარმომადგენლები, დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, სომხეთის და საქართველოს 35 სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

შეკრების მიზანი იყო პროექტის მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის გაეცნოთ ის ძირითადი ღირებულებები, სამოქმედო გეგმები და ასევე, საპარტნიორო ვალდებულებები, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამა „შემოქმედებითი ნაპერწკალი“. შეხვედრაზე, ასევე, წარდგენილი იყო გამარჯვებული საპროექტო იდეები და ამ პროექტების სამოქმედო გეგმები.

სამუშაო პანელზე კილის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდანაც წარდგენილი იქნა პროექტის ეგიდით განსახორციელებელი გეგმებისა და სამუშაო მიმართულებების შესახებ ვრცელი პრეზენტაცია.



სტუ-ს „შემოქმედებითი ნაპერწკალის“ პროექტის შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

აღსანიშნავია, რომ „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ არის 5-წლიანი ინიციატივა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო და ინსტიტუციურ პარტნიორობებს სამეწარმეო უნარების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში. პროგრამა ხორციელდება დიდ ბრიტანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ [ვებგვერდი](#).